

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ოქმი №10

2020 წლის 24 ივნისი, 17:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მერიის ეკონომიკის სამსახურის საერთაშორისო პროექტებისა და ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი - დიმა ზურაბაშვილი.

მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი-გიორგი ჩალათაშვილი.

-1-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხს: ვ. ალიბეგაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს განისაზღვროს დანართების შესაბამისად კონკურსზე წარსადგენი პროექტი:

ა) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბანში, ღვინის ქარხნებთან გამავალი შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.

/განკარგულება №17-ი თან ერთვის/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ჯ. კობერიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა თანდართული ფორმით.

/განკარგულება №18-ი თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია